ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 239-240 (20986) — კვირა, 14 ოქტომბერი, 1990 წელი. — ფასი 6 კაპ.

მკითხველს ვთავაზობთ

შესაძლებელია თუ არა სახელმწიფოს დეიდეოლოგიზაცია თანამედროვე ეტაპზე? — ამაზე პასუხს სცემს პროფესორი ვახტანგ ერქომაიშვილი.

2 გვერდი

გრძელდება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პარტიების (საარჩევნო ბლოკების) დეპუტატობის კანდიდატთა პარტიული სიების გამოქვეყნება.

3 გვერდი

დღევანდელ ნომერში გაეცნობით ბრაზილიის ახალგაზრდა პრეზიდენტის ფერნანდო კოლორ დე მელოს პოლიტიკურ პორტრეტს.

აქვე, რუბრიკით — „უცხოეთში" მოქვეყნებულია მრავალი საინტერესო მასალა საერთაშორისო ცხოვრებაზე.

5 გვერდი

„პოეზია" მხოლოდ ახალი — ამ განყოფილებაში გამოქვეყნებულია შოთა ნიშნიანიძის, ნოდარ გურეშიძისა და ჯანსუღ კორძაიას ახალი ლექსები.

აქვე გთავაზობთ რეპორტაჟს ამერიკელი მხატვრის რონ პოკრასოს თბილისური გამოფენიდან.

6 გვერდი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის

ბრძანებულება

სსრ კავშირში საკუთრების უფლების შეუვალობის დაცვის ღონისძიებათა შესახებ

კვეყნის მთელ რიგ რეგიონებში გახშირდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების კუთვნილი ქონების უკანონო ჩამორთმევის შემთხვევები. ფართოდ არის გავრცელებული მოქალაქეთა საკუთრების ხელყოფა.

ქონებრივი ურთიერთობის სტაბილურობა და საკუთრების უფლების შეუვალობა თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის უცილობელი პირობაა. ისინი ხელს უწყობენ სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას, უზრუნველყოფენ ქონებისა და ინვესტიციების, მათ შორის საზღვარგარეთელი პარტნიორების ქონების დაცვა-შენახვას, ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ვითარების სტაბილურობას მისი განვითარების რთულ პერიოდში.

ყველა მესაკუთრის ქონებრივი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, სსრ კავშირის კონსტიტუციის 10 მუხლისა და 127[3] მუხლის 1 და 4 პუნქტების, „სსრ კავშირში საკუთრების შესახებ" სსრ კავშირის კანონის 1, 31-34 მუხლების საფუძველზე ვადგენ:

1. არ ექვემდებარება შესრულებას როგორც სსრ კავშირის კონსტიტუციის საწინააღმდეგო-სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების აქტები, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა მესაკუთრეების კუთვნილი მატერიალური და ფულადი ფასეულობების, სხვა ქონების უკანონო ჩამორთმევასთან.

თანამდებობის პირთა ან მოქალაქეთა მოქმედება, რომლებსაც ჩადიან მესაკუთრის კუთვნილი ქონების ფაქტობრივი ჩამორთმევის მიზნით ანდა მესაკუთრის კუთვნილი ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებათა შესაზღუდავად, რაც არ ემყარება სასამართლოს, სახელმწიფო არბიტრაჟის, ან სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებას, არამართლზომიერია და იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის კონსტიტუციის 131 მუხლის შესაბამისად შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი საკუთრების უფლების გარანტიების გასაძლიერებლად და სხვადასხვა მესაკუთრეთა კუთვნილი ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ დავალების შესრულება მომახსენონ 1991 წლის 1 იანვრისათვის.

3. წინადადება მიეცეთ სსრ კავშირის პროკურატურას, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟს მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე უზრუნველყონ მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ქონებრივი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, გადაჭრით აღკვეთონ მათი ქონების უკანონო ჩამორთმევა, დაუყოვნებლივ დააბრუნებინონ ჩამორთმეული ქონება კანონიერი მფლობელებისათვის, მისცენ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ და ქონებრივ პასუხისგებაში თანამდებობის პირნი და მოქალაქენი, რომლებიც უშვებენ ძალაუფლების გადამეტებას და თვითნებობას.

დაეკალოს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საჭიროებისამებრ დაუწესოს დაცვა სახელმწიფო და კოლექტიური საკუთრების ობიექტებს მათი უკანონო ჩამორთმევის საფრთხის შემთხვევაში.

4. შემოღებულ იქნეს ეს ბრძანებულება სამოქმედოდ გამოქვეყნების მომენტიდან.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი
მ. გორბაჩოვი.



ერთი კვირა ფოტოსურათებში

...თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე ამუშავდა პირველი გვირაბგამყვანი კომბაინი. მისი მწარმოებლობა წუთში 0,61 კვადრატული მეტრია კლდოვან გრუნტებში მუშაობისას. კომბაინი დამონტაჟებულია № 60 შახტში, სადაც საქმიანობს თბილისგვირაბმშენის სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის კოლექტივი. კომბაინმა უკვე გაიარა 140 გრძივ მეტრზე მეტი ახალ გვირაბში, ელბაქიძის დალმართის ქვეშ. სპეციალისტთა შეფასებით, რომელიც შეაჯამა თბილისგვირაბმშენის ხელმძღვანელმა უ. გოჯიაშვილმა — გვირაბგამყვანი კომბაინი შესაძლებლობას აძლევს მშენებლებს შეცვალონ ძვირადღირებული ასანყობი რკინა-ბეტონი, თავიდან აიცილონ მონაკვეთსა და ქანს შორის სიცარიელის შეავსებად ცემენტის ნარევის დაჭირხნის შრომატევადი სამუშაო, გვირაბის კონტურები დაიყვანონ პროექტით გათვალისწინებულ მოხაზულობამდე. კომბაინს, რომელზედაც მუშაობენ მექანიკოსები ნოდარ ჩუბინიძე, დავით გელაშვილი, გიორგი მიქელაძე დღე-ღამის განმავლობაში შეუძლია გაიაროს გადასარბენი გვირაბის 5-6 მეტრი. ლაზერის სხივის მეშვეობით კომბაინის სწორ მიმართულებას საზღვრავს უბნის მარკშეიდერი ანზორ ბოკერია.

...ცნობილი მომღერლის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მედეა ძიძიგურის მუსიკალური შემოქმედება პოპულარულია ესტრადის მოყვარულთა ფართო წრეში.

მისმა ბენეფისმა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა, თავი მოუყარა ხალასი ნიჭის ასობით თაყვანისმცემელს. კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს ნამყვანი სოლისტები და საუკეთესო ანსამბლები. ... ...

პროგლემა — თვალსაზრისი — პოზიცია

სახელმწიფოს დეიდეოლოგიზაცია... შესაძლებელია თუ არა იგი?

ალნიშნულ კითხვაზე უარყოფითი პასუხი მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიაში ცალსახა და კატეგორიულია. უფრო მეტიც, მისი დასმის და ალტერნატიული გადაწყვეტის შესაძლებლობა პრინციპულად გამორიცხულია. მიჩნეულია, რომ დეიდეოლოგიზაციის თეორია ბურჟუაზიული ხასიათისაა და მიმართულია საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. ეს ნიშნავს, რომ თვით კითხვა არის იდეოლოგიზირებული, რაც იმთავითვე გამორიცხავს მისი მეცნიერული ანალიზის შესაძლებლობას. ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში აღნიშნული საკითხის არც თუ სწორი გადაწყვეტა, არამედ მისი მეტ-ნაკლებად სერიოზული ანალიზი და განხილვა შეუძლებელი იყო. მას ტაბუ ედო, რასაც შედეგად მოჰყვა გარკვეული სტერეოტიპის ჩამოყალიბება, რომლის თანახმად ყოველი სახელმწიფო იდეოლოგიზირებულია. ამიტომ მისი დეიდეოლოგიზაცია პრინციპულად გამორიცხულია.

დღეს, როდესაც მიმდინარეობს ღირებულებათა ხელახალი შეფასების პროცესი, მოცემულ კითხვასაც მოეხსნა ტაბუ, რაც იმის წინაპირობას ქმნის, რომ შეგვიძლია იგი ყოველგვარი იდეოლოგიური დოგმებისა და სტერეოტიპების გარეშე განვიხილოთ და სერიოზული ანალიზის ობიექტად ვაქციოთოო. თუმცა ამგვარი ანალიზი ჯერ არ ჩატარებულა, იგი მომავლის საქმეა, მაგრამ მას უკვე მწვანე შუქი აქვს მიცემული. ამ შესაძლებლობის გამოყენება ჩვენზეა დამოკიდებული.

ამჟამად სახელმწიფოს დეიდეოლოგიზაციის საკითხი დეიდეოლოგიზირებულია, რაც ნიშნავს, რომ იგი მეცნიერული ანალიზის საგანია. მისი განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს არა პარტიული და სახელმწიფო დადგენილებებისა და დირექტივების, არამედ მეცნიერული კვლევის საფუძველზე. ეს უნდა გაკეთონ არა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა, არამედ მეცნიერებმა. მათ საგანგებოდ უნდა გამოიკვლიონ აღნიშნული პრობლემა და მოგვცენ მისი არგუმენტირებული და დასაბუთებული გადაწყვეტა. როგორც არ უნდა იყოს პასუხი — დადებითი თუ უარყოფითი — იგი არ უნდა გამორიცხავდეს მასში დაეჭვებისა და ალტერნატიული გადაწყვეტის შესაძლებლობას.

ცხადია, არც ჩვენი პასუხი იქნება კატეგორიული და მასაც მოძებნება ალტერნატივა. ჩვენ ვეცდებით წარმოვადგინოთ საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთი შესაძლებელი ვარიანტი, რომლის მიღება უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

უპირველეს ყოვლისა დავაზუსტოთ იდეოლოგიის ცნება: იდეოლოგია არის იდეათა და შეხედულებათა სისტემა საზოგადოებრივ-ცხოვრებაზე მთლიანად, მისი განვითარების კანონზომიერებასა და მომავალზე, ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის ან ორგანიზაციის ადგილსა და როლზე. იგი მოიცავს სამ მომენტს — თეორიულს, აქსიოლოგიურს და აპოლოგეტურს: თეორიული ნაწილი იძლევა ცოდნას საზოგადოებაზე, მის კანონზომიერებასა და განვითარებაზე, აქსიოლოგიური — შეიცავს ღირებულებებს, რომელთა საფუძველზეც ხდება მოვლენათა დადებითი ან უარყოფითი შეფასება: აპოლოგეტური — აფუძნებს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის ან ორგანიზაციის ინტერესებს. იდეოლოგიის მიზანია მათი გამოხატვა, გამართლება და დაცვა, ამიტომ აპოლეგეტური ფუნქცია მისთვის მთავარი და განმსაზღვრელია.

ამგვარად, იდეოლოგია აპოლოგეტიკაა. მისი მიზანია არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ გარკვეული სოციალური ჯგუფის ან ორგანიზაციის ადგილისა და როლის გაარება, მათი ინტერესების გამართლება. და დაფუძნება. აქედან გამომდინარეობს სხვა იდეოლოგიებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება: ყოველი იდეოლოგია შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს სხვა იდეოლოგიასთან.

იდეოლოგია და მეცნიერება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მეცნიერება არავის ინტერესებს არ აფუძნებს და არ გამოხატავს. მისი მიზანია სწორად ასახოს რეალობა და დაადგინოს ჭეშმარიტება. იდეოლოგიის მიზანი კი იმათი ინტერესების გამოხატვა და დაცვა, რომელთაც იგი ემსახურება. ამგვარად, მეცნიერება მიუკერძოებელი და ობიექტურია, იდეოლოგია კი — მიკერძოებული და ტენდენციური. იდეოლოგია აპოლიგეტიკაა, რადგან ვიღაცის მსახურია, მეცნიერება კი ამ ფუნქციას მოკლებულია, რადგან ცალკე არავის მსახური არ არის.

მეცნიერული თეორია ახალი ფაქტების აღმოჩენისა და დადგენის კვალობაზე შეიძლება მცდარი გახდეს. ამიტომ ის, რაც მოცემულ ეტაპზე ჭეშმარიტია, შეიძლება მომავალში მცდარად იქცეს. იდეოლოგია კი, სანამ იგი ფუნქციონირებს როგორც იდეოლოგია, არ შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. ყოველი ახალი ფაქტი მისი დადასტურება და გამართლებაა. რაც არ უნდა განვითარდეს საზოგადოება, შეიცვალოს მოვლენები, ყველაფერი მას დასტურებს. თითქოს საზოგადოება იმისთვის არსებობს, რომ გაამართლოს მოცემული იდეოლოგია, თითქოს მას სხვა მიზანი და დანიშნულება არა აქვს. მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომელიც სოციალისტურ სახელმწიფოთა იდეოლოგია იყო, ამტკიცებდა სოციალიზმის უპირატესობას კაპიტალიზმთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური ცხოვრება საწინააღმდეგოს აჩვენებდა, ეს თეზისი მაინც ვალიდურად იყო. კომპარტიამ წამოაყენა განვითარებული სოციალიზმის თეორია მაშინ, როდესაც ქვეყანა პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისში იყო. ამ თეორიის შემოქმედნი ამოვიდნენ არა რეალობიდან, არამედ იდეოლოგიიდან. მათთვის გადამწყვეტი იყო არა რეალობა და მისი ასახვა, ე. ი. ჭეშმარიტება, არამედ იდეოლოგიური დოგმა.

მეცნიერების მიზანია თეორია შეუსაბამოს რეალობას, იდეოლოგიისა კი — პირიქით, მან რეალობა უნდა შეუსაბამოს თეორიას. პირველი იცვლება რეალობის გაგებითარების კვალობაზე, მეორე კი, რა გინდ შეიცვალოს და განვითარდეს რეალობა, მაინც უცვლელია. ამიტომ იდეოლოგია იმუშავებს დოგმებსა და სტერეოტიპებს, რომელთა მარწუხებში ამწყვდევს ყოველგვარ სინამდვილეს.

დღემდე გავრცელებულია თვალსაზრისი, რომელიც იდეოლოგიას ყოფს მეცნიერულად და არამეცნიერულად. ამგვარი დაყოფა არ არის სწორი, რადგან საერთოდ შეუძლებელია რომელმე იდეოლოგია იყოს მეცნიერული. იდეოლოგია და მეცნიერება თავისი არსით გამორიცხავენ ერთმანეთს, ამიტომ მათი შეთავსება ერთმანეთთან შეუძლებელია.

იდეოლოგია შეიძლება იყოს პროგრესული ან რეაქციული. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა როლს ასრულებს იგი. საზოგადოებრივ ცხოვრებაში: რომელი ძალები რა მიზნით იყენებენ მას. ამიტომ კონკრეტულ-ისტორიული პირობების მიხედვით იცვლება მისი ხასიათი. ერთი და იგივე იდეოლოგია სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში შეიძლება სრულიად საპირისპირო — პროგრესულ ან რეაქციულ როლს ასრულებდეს. მაგალითად. ქრისტიანობა პროგრესულ როლს ასრულებდა შუა საუკუნეების ფეოდალურ საქართველოში, რადგან ხელს უწყობდა ქართველი ხალხის შეკავშირებას და მის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ იგივე ქრისტიანობამ უარყოფითი როლი შეასრულა ინკვიზიციის პერიოდში, როდესაც მას იყენებდნენ თავისუფალი და მეცნიერული აზრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასე რომ, იდეოლოგიის პროგრესულობა-რეაქციულობის საკითხი უნდა გადაწყდეს არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულ-ისტორიულად.

მაგრამ იდეოლოგიის პროგრესულობა არ ნიშნავს მის მეცნიერულობას. რა გინდ პროგრესული არ უნდა იყოს იდეოლოგია, იგი მაინც მეცნიერული არ იქნება, პროგრესულობა და მეცნიერულობა არ ემთხვევა ერთმანეთს, რადგან მათი კრიტერიუმები განსხვავებულია: პროგრესულობა გასწი ალ ეროვნული ორგანიზაციებთან და, მით უმეტეს, უცხოეთის ფირმებთან ძნელი საქმეა. იმისათვის, რომ ეკონომიკამ საქართველოს სასარგებლოდ იმოქმედოს, საჭიროა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების რესპუბლიკის დაქვემდებარებაში გადაცემა, რაც მმართველი ორგანოების პრეროგატივაა. მიუხედავად საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა, კუსტარული სამხერხაოები მაინც არსებობენ. მათი მესვეურები იმდენად გაკადნიერდნენ, რომ მთავრობის დადგენილებასაც არარად აგდებენ. არსებობს თუ არა საქმის გამოსწორების გზები? რა თქმა უნდა, არსებობს. ეს გახლავთ ეკონომიკური მუხრუჭები, მხოლოდ დაბეგვრის საშუალებით შეიძლება ამ საკითხის მოგვარება.

ახლა, კონკრეტულად ხორითის საბადოს შესახებ. იგი კავკასიის ფერადი ქვების ექსპედიციის გეოლოგებმა ხუთი-ექვსი წლის წინ აღმოაჩინეს. ნედლეული ვარგისია მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის საწარმოებლად. 1987 წელს, როცა გუდაურში ტურისტულ-სათხილამურო კომპლექსი იგეგმებოდა, მთავრობის მითითებით, ამ ობიექტის მაღალხარისხოვანი მოსაპირკეთებელი ფილებით უზრუნველყოფა დაგვევალა. ჩვენმა ორგანიზაციამ შეასრულა ეს დავალება და ამით ხორითის ქვას ევროპული რეკლამა გაუკეთა. კომპლექსს, როგორც ცნობილია, ავსტრიული ფირმა აშენებდა და 1989 წელს, მისივე წინადადებით, შეიქმნა ერთობლივი საწარმო, რომელსაც „კავკასიონი“ ეწოდა. დღეს ამ საბადოზე ქვის საცდელი მოპოვება და დამუშავება მცირე მასშტაბით მიმდინარეობს. ამავე დროს აქ გრძელდება საკარიერო და ქვის დამმუშავებელი უცხოური ტექნიკის დამონტაჟება. ჯერჯერობით, „კავკასიონი“ უშვებს, მხოლოდ ადგილობრივ ფუნდამენტალური შენობების ინტერიერების მოპირკეთებას ხმარდება. ხორითის ქვით მოპირკეთდა, მაგალითად, თბილისის რუსთაველის პროსპექტზე მდებარე სილამაზის სალონი, კინოს სახლის შიდა მისაღების ინტერიერი, ბავშვთა საავადმყოფოს მისაღებები და სოსპერაციონები, „ინტურისტის“ ობიექტები და სხვა მრავალი. ასე მწიფო იდეოლოგიზირებულია. აქ ერთი იდეოლოგიაა გაბატონებული, ამიტომ მას ტოტალური და უნივერსალური ხასიათი აქვს. იგი გამორიცხავს სხვა იდეოლოგიის და სხვაგვარად აზროვნების შესაძლებლობას. იგი სავალდებულოა ყველასათვის. ყოველი მოქალაქე უყოყმანოდ და უსტყვოდ უნდა დაუმორჩილოს მას. მისი არა თუ კრიტიკა, არამედ მისაღები ოდნავი დაეჭვებაც კი დაუშვებელია. ყოველი ამგვარი მცდელობა პოლიტიკურ დანაშაულად ითვლება და სასტიკად ისჯება. საზოგადოების იდეოლოგიზაცია დიქტატურის აუცილებელი შედეგია. ამ დროს ყალიბდება არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ იდეების დიქტატურაც.

სახელმწიფო იდეოლოგიის დანიშნულება სწორედ ისაა, რომ თავის მარწუხებში მოაქციოს საზოგადოების სულიერი სფერო. იგი ვერ ეგუება სხვაგვარად აზროვნებისა და კრიტიკის თავისუფლებას. იდეოლოგიზირებული სახელმწიფოს დაუძინებელი მტრებია დისიდენტები, ე. ი. სხვაგვარად მოაზროვნენი. ახლო წარსულში ამგვარი სახელმწიფოები ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირში სახელმწიფო იდეოლოგია გახდა მარქსიზმ-ლენინიზმი. 1848 წლამდე მარქსიზმი არ წარმოადგენდა იდეოლოგიას, რადგან ჯერ არ არსებობდა ისეთი პარტია, რომელიც მას თავის მსოფლმხედველობად მიიჩნევდა. მარქსი და ენგელსი თავიანთ შეხედულებათა სისტემას თვლიდნენ მეცნიერულად და არ უწოდებდნენ იდეოლოგიას. მათ მიიჩნდათ, რომ იდეოლოგია მოჩვენებითი, ყალბი ცნობიერებაა, რომელიც ამოდის არა რეალობიდან, არამედ იდეებიდან. 1848 წლის შემდეგ, როდესაც ევროპის ქვეყნებში წარმოიშვა კომუნისტური პარტიები, მათ მარქსიზმი აღიარეს თავიანთ იდეოლოგიად. აქედან იწყება მარქსიზმის იდეოლოგიზაციის პროცესი. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მოხდა მარქსიზმის ორი განსხვავებული ინტერპრეტაცია: ერთი ევროპის სოციალ-დემოკრატების, ხოლო მეორე რუსეთის ბოლშევიკების მიერ. ევროპის სოციალ-დემოკრატიამ უარი თქვა მარქსიზმის ისეთ მომენტებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო რევოლუციასთან, ძალადობასა და დიქტატურასთან. მან მარქსიზმს მისცა ლიბერალურ-რეფორმისტული ინტერპრეტაცია. ამგვარად გაგებული მარქსიზმი გახდა ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგია: რუსეთის ბოლშევიკურმა პარტიამ ლენინის მეთაურობით მარქსიზმის სწორედ ის მომენტები წამოწია წინ, რომლებიც უარყო ევროპის სოციალ-დემოკრატიამ. ლენინი თვლიდა, რომ მარქსისტი მხოლოდ ისაა, ვინც აღიარებს პროლეტარიატის დიქტატურას, ხოლო ის, ვინც მას უარყოფს, არ არის მარქსისტი. ამის გამო ლენინმა ევროპის სოციალ-დემოკრატიის ლიდერი კაუცკი მოღალატედ, რენეგატად გამოაცხადა. ლენინის მიერ ინტერპრეტირებული მარქსიზმი გახდა რუსეთის ბოლშევიკური პარტიის იდეოლოგია.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლენინურად გაგებული მარქსიზმი ანუ მარქსიზმ-ლენინიზმი იქცა სახელმწიფო იდეოლოგიად. იგი მოითხოვდა პროლეტარიატის დიქტატურის მიერ ძალადობის და რეპრესიების გამოყენებით პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების განხორციელებას, საბჭოთა საზოგადოება მთლიანად დაექვემდებარა მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას, რის გამოც მან შეიძინა ტოტალური და უნივერსალური ხასიათი. ასე ჩამოყალიბდა საბჭოთა იდეოლოგიზირებული სახელმწიფო, სადაც გაბატონებული, პრივილეგირებული მდგომარეობა მოიპოვა კომუნისტურმა პარტიამ და მისმა იდეოლოგიამ.

საბჭოთა საზოგადოების დეიდეოლოგიზაცია ნიშნავს, რომ უნდა გაუქმდეს სახელმწიფო იდეოლოგია. სახელმწიფო საზოგადოებას უნდა მართავდეს არა იდეოლოგიის, არამედ კონსტიტუციის საფუძველზე. მან უნდა შეიმუშაოს მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა, რომელიც რეალობას ასახავს და არ ემორჩილება იდეოლოგიურ დოგმებსა და სტერეოტიპებს.

ზოგიერთი ამტკიცებს, რომ საზოგადოების დეიდეოლოგიზაცია შეუძლებელია, რადგან დეიდეოლოგიზაციის თეორია. თვითონაა გარკვეული იდეოლოგია. იდეოლოგიის უარყოფა თვითონ ეფუძნება საათანადო იდეოლოგიას, ამიტომ ხდება არა საერთოდ იდეოლოგიის უარყოფა, არამედ ერთი იდეოლოგიის შეცვლა მეორეთი. ამგვარი ბუნება გაუგებრობასა და სიტყვების თამაშზეა აგებული. ჯერ — ერთი, საკითხი ეხება არა საერთოდ იდეოლოგიის, არამედ სახელმწიფო იდეოლოგიის უარყოფას. დეიდეოლოგიზაციის თეორია, თუნდაც რომ იდეოლოგია იყოს, მაინც არ არის სახელმწიფო იდეოლოგია. მეორე, არავინ უარყოფს იმის საჭიროებას, რომ პარტიას აქვს და უნდა ჰქონდეს იდეოლოგია. საკითხი არ დგას პარტიის დეიდეოლოგიზაციის შესახებ. ეს მართლაც შეუძლებელია. საკითხი ეხება მხოლოდ შემდეგს: ნებისმიერმა პარტიამ, რომელიც მოვა ხელისუფლების სათავეში, ქვეყანა უნდა მართოს არა თავისი იდეოლოგიის, არამედ კონსტიტუციის საფუძველზე. მთავრობამ უნდა იმოქმედოს არა პარტიის მიერ შემუშავებული დირექტივების, არამედ რეალობის — ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის მიხედვით. მან პასუხი უნდა აგოს არა პარტიის, არამედ პარლამენტის წინაშე. არც ერთმა პარტიამ არ უნდა მოახდინოს ხელისუფლების უზურპაცია და მონოპოლიზაცია, რათა ქვეყანას თავს არ მოაბეჭოს თავისი იდეოლოგია. ამას მოითხოვს დეიდეოლოგიზაციის პროცესი.

დემოკრატიზაცია აუცილებლობით გულისხმობს დეიდეოლოგიზაციას. სახელმწიფოს „დეიოლოგიზაცია“ სჭირდება დიქტატურას, სხვაგვარად იგი ვერ იარსებებს. დემოკრატია კატეგორიულად გამორიცხავს მას, რადგან იგი შეუთავსებელია სახელმწიფო იდეოლოგიის არსებობასთან.

თუ ჩვენ მართლა გვინდა ავაშენოთ დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, მაშინ მარქსიზმ-ლენინიზმი უნდა უარყოთ როგორც სახელმწიფო იდეოლოგია. კომუნისტური პარტია, მას კვლავ აღიარებს თუ არა, თავის იდეოლოგიად, ეს მისი კერძო საქმეა. კომუნისტურმა პარტიამ, თუნდაც რომ დარჩეს არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში, ქვეყანა არ უნდა მართოს თავისი იდეოლოგიის საფუძველზე. დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო იდეოლოგია.

ვახტანგ ერქომაიშვილი.

ქამი დიდი არჩევანისა

საქართველოს ისტორიაში ახლა უაღრესად სპასუხისმგებლო მომენტი რომ არის, ამას ყველა გრძნობს. ავირჩევთ პარლამენტს, რომელმაც უნდა მიიღოს არა ერთი თვის ან ერთი წლის მნიშვნელობის მჭიდრო გადაწყვეტილებები. მან უნდა განსაზღვროს საქართველოს განვითარების გეზი მთელ უახლოეს ისტორიაში. ამიტომ ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელსაც ამომრჩევლები იჩენენ წარმოდგენილი პარტიების პროგრამებისა თუ პლატფორმებისადმი.

როგორც ჩანს, ერთ რამეში ყველა პარტია გარკვეულია და თანახმაა — საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი. განხილავენ დამოუკიდებლობის მიღწევის სხვადასხვა გზებს; ერთს, რომელსაც პირობითად „ლიტვურს“ უწოდებენ. განიხილავენ მეორესაც, რომელსაც ასევე პირობითად უწოდებენ „ქართულს“. არ შევჩერდები ამ გზების ეფექტურობის შედარებაზე. ნავარაუდოა, რომ პარტიებს შორის არჩევანის გაკეთებისას ამომრჩევლები დიდ მნიშვნელობას მიანიჭებენ იმას, თუ როგორ წარმოუდგენია ამა თუ იმ პარტიას ვითარება, რომელიც შეიქმნება დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ. როგორ აპირებს ესა თუ ის პარტია მოუაროს იმ პრობლემებს, რომლებიც დღეს დგას ჩვენს წინაშე და რომელთა წინაშეც დადგება დამოუკიდებელი საქართველო.

პრობლემათა პირველ ჯგუფს შეადგენენ ისინი, რომელნიც დაკავშირებულნი არიან საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობასთან. კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს ორ მეზობელ მუსულმანურ ქვეყანას — ირანსა და თურქეთს — დადებული აქვთ ხელშეკრულება, რომელშიც ჯერჯერობით არც ერთს უარი არ განუცხადებია და რომლის მიხედვითაც ერთი აღმოსავლეთ საქართველოზე აცხადებს პრეტენზიას, და მეორე — დასავლეთზე. ალბათ კარგი იქნებოდა, რომ ყოველი პროგრამა, რომელიც გულისხმობს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირებას, შეიცავდეს მითითებას იმაზე, თუ როგორ აპირებენ მოცემული პროგრამის ავტორები ამ რთული გეოპოლიტიკური პრობლემის მოგვლას, რა საშუალებები ეგულებათ მათ ამ მიზნის მისაღწევად.

გარკვეული გამოკვეთილი უნდა იყოს პროგრამის ავტორების აზრი — გულისხმობს თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა რუსეთის ხალხთა კავშირიდან გასვლას? თუ გულისხმობს, მაშინ ვინ იქნებიან საქართველოს მომავალი მოკავშირეები? ჩვენ არ შევუდგებით ამ რთული საკითხის ყველა იმ ასპექტის ჩამოთვლას, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული შესაბამის პროგრამებში.

ამომრჩევლების ორიენტირებისათვის ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმ პრობლემების დაწვრილებითი ანალიზი, რომლებიც ეკონომიკას უკავშირდებიან. ცნობილია, თუ რა სიძნელეებთან აღმოჩნდა დაკავშირებული ნაბიჯი ეკონომიკაზე გადასვლა. ეს გადასვლა ორჯერ უფრო ძნელი იქნება და ორჯერ მეტ ძალისხმევას მოითხოვს თუ საქართველოს დამოუკიდებლობას გავიგებთ როგორც რუსეთის ხალხთა კავშირიდან გასვლას. საქართველოს ეკონომიკა უამრავი ძაფით არის გადახლართული ნაბჯოთა კავშირის უველა სხვა რეგიონის ეკონომიკასთან.

ამ საკითხების ერთი ან მეორე მიმართულებით გადაჭრის საფუძველზე დაისახება უშუალო მოქმედების მიმართულება, მოქმედებისა, რომელიც ამომრჩეველთა უმრავლესობამ ახლავე უნდა დაიწყოს.

თუ რომელიმე პროგრამა გულისხმობს, რომ დამოუკიდებელი საქართველო დარჩება რუსეთის ხალხთა მოკავშირე, მაშინ აუცილებელია განსაზღვრის ისიც, თუ როგორი უნდა იყოს რესპუბლიკის მოსახლეობის საქმიანობა, რომელიც ხელს შეუწყობს ამგვარი მოკავშირეობიდან ურთიერთობის განვითარებას, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ვიმოქმედოთ ჩვენ, რომ ამ კავშირს მივცეთ ჩვენთვის სასურველი სახე.

ალვნიშნავთ ერთ მომენტს. ასეთი მოკავშირე შეიძლება იყოს რომელიმე მძლავრი სახელმწიფო, რომელსაც ექნება რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები საქართველოში. არ შეიძლება ვიყოთ იმის იმედზე, რომ ამ თუ იმ პიროვნებამ, თუნდაც გავლენიანმა, სიმპათიით მოიხსენია საქართველო, მისი ისტორია, თუ საქართველოს დამოუკიდებლობა არ გულისხმობს რუსეთის ხალხთა კავშირიდან გასვლას, მაშინ უნდა განისაზღვროს მისი სტატუსი ამ კავშირში. რა მოვალეობებს იკისრებს საქართველო კავშირის წინაშე, მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის სანაცვლოდ? ყველა ეს საკითხი თუ არ იქნა სათანადოდ გაანალიზებული, მაშინ დებულება საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ უფრო სამიტინგო მოწოდებას დაემსგავსება, ვიდრე პოლიტიკური პროგრამის მთავარ მუხლს.

რას მოველით პარტიების პროგრამებისგან

თუ სხვა პროგრამაში მითითებული იქნება, რომ დამოუკიდებელი საქართველო უნდა გამოვიდეს რუსეთის ხალხთა კავშირიდან და რომ მან უნდა გაწყვიტოს არსებული ეკონომიკური კავშირები, მაშინ იქვე უნდა იყოს აღნიშნული ისიც, თუ ვინ იქნებიან საქართველოს ეკონომიკური პარტნიორები. რის მოწოდებას შევძლებთ ჩვენ მათთვის და რას მივიღებთ. ორივე ზემოთდასახელებულ საკითხზე — სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების შესახებ — უშუალო, კონკრეტული მოქმედების გეგმის ქონება საჭიროა რაც შეიძლება მალე. ცნობილია, რომ ამჟამად საქართველოს შემოაქვს ნაკვები პროდუქტების უმეტესი რაოდენობა. შეიძლება ვიდავოთ იმაზე, რომ მომავალში ეს ასე არ იქნება, მაგრამ დღესდღეობით ეს ფაქტია, რომელსაც, რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაეწიოს. ისევე როგორც იმ ფაქტს, რომ ზო-

**ნა ნაკვეთი ერთ-ერთ ეკონომიკურ ერთეულად ითვლება. ეს ნიშნავს, რომ ეს ნაკვეთი ეკონომიკურ ერთეულად ითვლება ევროპაში, ამერიკასა და ინდოეთში. ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს...

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პარტიების (საარჩევნო ბლოკების) დეპუტატობის კანდიდატთა პარტიული სიები

13. საქართველოს სახალხო ფრონტი

1. **ნათაძე ნოდარ რევაზის ძე**, დაბადებული 1929 წელს, ფილოლოგი, ფილოსოფიის ინსტიტუტის სექტორის გამგე, მცხოვრები თბილისში, ფანასკერტელის კრს. 16, ბინა 57; სახალხო ფრონტი.

2. **გამყრელიძე თამაზ ვალერიანის ძე**, 1929, ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი; თბილისი, ი. ნიკოლაძის 6; სახალხო ფრონტი.

3. **ნადირაშვილი შოთა ალექსანდრეს ძე**, 1926, ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი; თბილისი, სარაჯიშვილის მესამე ჩიხი 5; სახალხო ფრონტი.

4. **ხუციშვილი სოლომონ გიორგის ძე**, 1908, ფილოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 62; ბინა 61; სახალხო ფრონტი.

5. **ბერძენიშვილი მერაბ ისიდორეს ძე**, 1929, მოქანდაკე, სამხატვრო აკადემიის პროფესორი; თბილისი აბაგის 41. უპარტიო.

6. **სვანიძე ცოტნე ილიას ასული**, 1929, გეოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; თბილისი, გამსახურდიას გამზარი 39, ბინა 8; სახალხო ფრონტი.

7. **ოჩიაური გიორგი ალექსის ძე**, 1927, მოქანდაკე, სამხატვრო აკადემიის პროფესორი; თბილისი, ნუცუბიძის 151; სახალხო ფრონტი.

8. **გოცირიძე რომან რაუფენის ძე**, 1956, ეკონომისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი; თბილისი, საბურთალოს 59 ბ; სახალხო ფრონტი.

9. **ყორანაშვილი გურამ ვახტანგის ძე**, 1940, ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; თბილისი, ვაჟა-ფშაველას კვ. 1, ბინა 124; სახალხო ფრონტი.

10. **მუხნელიშვილი დავით ლევანის ძე**, 1928, ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი; თბილისი, დოლიძის 44; უპარტიო.

11. **შილაკაძე თამაზ ანდროს ძე**, 1932, ინჟინერი, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქგზამეცნიერების“ დირექტორი; თბილისი, ბახტრიონის 6, ბინა 24; სახალხო ფრონტი.

12. **ლილუაშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე**, 1928, იურისტი, სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის განყოფილების გამგე; თბილისი, ვაზისუბნის 11; სახალხო ფრონტი.

13. **კიკაჩიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე**, 1940, ფილოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; თბილისი, დოლიძის 17; სახალხო ფრონტი.

14. **ბეგიაშვილი გიორგი ანდრიას ძე**, 1933, ფიზიკოსი, სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკური ეკონომიკის გამოკვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგე; თბილისი, ჯავახიშვილის 17; სახალხო ფრონტი.

15. **რამიშვილი გურამ ვალერიანის ძე**, 1930, ფილოლოგი, უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორი; თბილისი, ჯავახიშვილის 13; სახალხო ფრონტი.

16. **წამალაძე ქრისტეფორე (ომარ) იასონის ძე**, 1943, მოგდელმსახური, მარგველთის ეპარქიის ეპისკოპოსი; თბილისი, ვარკეთილის 3 მ/რ, კორპ 420, ბინა 68, უპარტიო.

17. **ყორდანია გივი გიორგის ძე**, 1911, ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე; თბილისი, ა. ყაზბეგის გამზ. 29, კორპ 2, ბინა 2; უპარტიო.

18. **შელაძე ბადრი ბესიონის ძე**, 1958, აგრონომი, სიფხიზლის ნებაყოფლობითი საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი; ხულო, აბუსერიძის 5; სახალხო ფრონტი.

19. **გუგუშვილი ვლადიმერ ივანეს ძე**, 1934, გეოლოგი, გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე; თბილისი, ახალშენის 17, ა, ბ. 14; სახალხო ფრონტი.

20. **ნერგაძე თეიმურაზ იაშას ძე**, 1954, ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი; თბილისი, ჭავჭავაძის 2/2 ბ. 4; სახალხო ფრონტი.

21. **როგავა გაიოზ ალექსანდრეს ძე**, 1956, ექიმი, თერაპიის ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი; თბილისი, გლდანის I მ/კრ. კორპ. 20, ბინა 1; სახალხო ფრონტი.

22. **კოლუაშვილი პაატა პეტრეს ძე**, 1956, ეკონომისტი, საქართველოს კოლმეურნეობათა საბჭოს მთავარი სამმართველოს სექტორის უფროსი; თბილისი, დუმბაძის პრ. მე-3 მ/რ, 1 კორპ. ბინა 163; სახალხო ფრონტი.

23. **ცინცაძე გიორგი ივანეს ძე**, 1926, ფილოსოფოსი, სასულიერო აკადემიის პროორექტორი; თბილისი, ბულაჩაურის 7; უპარტიო.

24. **ჯაფელი ალეკო ალექსანდრეს ძე**, 1935, მეტყევე, კოოპერატივ „ჩარხის“ თავმჯდომარე; თბილისი, მიცკევიჩის კორპ 1, ბინა 25; სახალხო ფრონტი.

25. **ლომინაძე ნოდარ არჩილის ძე**, 1946, ინჟინერი, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსის მოადგილე; თბილისი, ჭონქაძის 9; სახალხო ფრონტი.

26. **გიგინეიშვილი გივი ნიკოლოზის ძე**, 1935, გეოლოგი, გეოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე; თბილისი, ფერეთლის 63. ბინა 5; უპარტიო.

27. **ნონიაშვილი თამაზ ალექსის ძე**, 1944, მათემატიკოსი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე; თბილისი, ვარკეთილის 3, 4, მ/რ, კორპ. 14, ბინა 131; უპარტიო.

28. **ხელაქაძელიძე დავით დავითის ძე**, 1955, იურისტი, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი; თბილისი, დოლიძის 27, ბინა 43; უპარტიო.

29. **ქინქლაძე ზაქარია ჯემალის ძე**, 1963, ინჟინერ-ტექნოლოგი, ქარხანა „თბოაგრეგატის“ სამშენის უფროსი; აზმეტა, გორგასლის 31; სახალხო ფრონტი.

30. **ბუზალაძე ვასილ გიორგის ძე**, 1951, ინჟინერ-მექანიკოსი, ბერელის ტექაღრიცხვის ბიუროს ბრიგადირი; ქარელი, ფიროსმანის 11; სახალხო ფრონტი.

31. **კუპრავაშვილი პენრი ოთარის ძე**, 1946, ჟურნალისტი, საქართველოს სახალხო ფრონტის განყოფილების გამგე; თბილისი, ნუცუბიძის 4 მ/რ, კორპ. 2, ბინა 91; სახალხო ფრონტი.

32. **მამიხთვალიშვილი ედგარ მიხეილის ძე**, 1939, ისტორიკოსი, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე; გორი, გორკის 19; სახალხო ფრონტი.

33. **ივანიძე ნუგზარ მიხეილის ძე**, 1945, ფილოსოფოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი; თბილისი, წერეთლის გამზარი, ბინა 34; უპარტიო.

34. **ფურცელაძე ნანა ნიკოლოზის ასული**, 1930, ფილოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისი, დოლიძის 17; სახალხო ფრონტი.

14. **ბეგიაშვილი გიორგი ანდრიას ძე**, 1933, ფიზიკოსი, სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკური ეკონომიკის გამოკვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგე; თბილისი, ჯავახიშვილის 17; სახალხო ფრონტი.

15. **რამიშვილი გურამ ვალერიანის ძე**, 1930, ფილოლოგი, უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორი; თბილისი, ჯავახიშვილის 13; სახალხო ფრონტი.

16. **წამალაძე ქრისტეფორე (ომარ) იასონის ძე**, 1943, მღვდელმსახური, მარგველთის ეპარქიის ეპისკოპოსი; თბილისი, ვარკეთილის 3 მ/რ, კორპ 420, ბინა 68, უპარტიო.

17. **ყორდანია გივი გიორგის ძე**, 1911, ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე; თბილისი, ა. ყაზბეგის გამზ. 29, კორპ 2, ბინა 2; უპარტიო.

18. **შელაძე ბადრი ბესიონის ძე**, 1958, აგრონომი, სიფხიზლის ნებაყოფლობითი საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი; ხულო, აბუსერიძის 5; სახალხო ფრონტი.

19. **გუგუშვილი ვლადიმერ ივანეს ძე**, 1934, გეოლოგი, გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე; თბილისი, ახალშენის 17, ა, ბ. 14; სახალხო ფრონტი.

20. **ნერგაძე თეიმურაზ იაშას ძე**, 1954, ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი; თბილისი, ჭავჭავაძის 2/2 ბ. 4; სახალხო ფრონტი.

21. **როგავა გაიოზ ალექსანდრეს ძე**, 1956, ექიმი, თერაპიის ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი; თბილისი, ტბელაძის 7; ილია ჭავჭავაძის საზოგადოება.

7. **ჯორგაძე ედიშერ ემილიანეს ძე**, 1936, ჟურნალისტი, გამომცემლობა „განათლება“-ს მთავარი რედაქციის წევრი; თბილისი, საბურთალოს 40 ა; არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება.

8. **მაჭავარიანი ირაკლი გივის ძე**, 1954, ფილოლოგ-აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგიისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი; თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-6 კვ, 1 კორპ.; დემოკრატიული სახალხო ფრონტი.

9. **ჭურდიანი მიხეილ ემილიანეს ძე**, 1954, მწერალი, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პროპაგანდის კომიტეტის თავმჯდომარე; თბილისი, ნინოწმინდის 7, ბ. 4; ილია ჭავჭავაძის საზოგადოება.

10. **ანჩაბაძე გიორგი ზურაბის ძე**, 1949, ისტორიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი; თბილისი, მიცკევიჩის 1; ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება.

11. **ჭუდელი ემორ პავლეს ძე**, 1938, მხრთვის სპეციალისტი, სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის კათედრის გამგე; თბილისი, ბარნოვის 164; უპარტიო.

12. **კუპრავა რაულ ალექსანდრეს ძე**, 1945, ინჟინერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი; თბილისი, მიცკევიჩის 6, ბინა 15; ილია ჭავჭავაძის საზოგადოება.

13. **ბერძენიშვილი ლევან ვალერიანის ძე**, 1953, ფილოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხმელთაშუა ზღვის კულტურის შემსწავლელი ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელი; თბილისი, გოგოლის 48; რესპუბლიკური პარტია.

14. **ხაინდრავა ივლიანე ლევანის ძე**, 1957, ფილოსოფოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი; თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. 57, ბ. 66; უპარტიო.

43. **ოთხელიანი თეიმურაზ კლიმენტის ძე**, 1929, ბიოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე; თბილისი, ბახტრიონის 8, ბ. 28; უპარტიო.

44. **ხხირტლაძე გურამ გიორგის ძე**, 1941, ექიმი, ტუბ. საწინააღმდეგო დისპანსერის მთავარი ექიმი; თბილისი, დადიანის 7; უპარტიო.

45. **კვარაცხელია ზაურ მიტროფანეს ძე**, 1938, აგრონომ-ეკონომისტი, სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კათედრის გამგე; სოხუმი, კვარაცხელიას 10, ბ. 19, სახალხო ფრონტი.

46. **არევაძე დავით ბიკენტის ძე**, 1941, გეოლოგი, მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე; თბილისი, ფალიაშვილის 48, ბ. 2; სახალხო ფრონტი.

47. **მალალურაძე გიორგი ევგენის ძე**, 1929, ექიმი, ფერეშენადნობთა ქარხნის სამედიცინო სანიტარიული ნაწილის კარგი, ზესკაფონს, ჭავჭავაძის 1 შესასვლელი 21; სახალხო ფრონტი.

48. **ტუღუში აბესალომ გრიგოლის ძე**, 1951, ისტორიკოსი, ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის ისტორიის მუზეუმის მეცნიერი-თანამშრომელი; ზუგდიდი, ჯიქიას 18; სახალხო ფრონტი.

49. **ქორიძე კახა დავითის ძე**, 1948, არქიტექტორი, კინომსახიობთა თეატრის მთავარი მხატვარი; თბილისი, მაყაშვილის 10, უპარტიო.

50. **ბერდენელია მურთაზ ალიოშას ძე**, 1952, ფილოსოფოსი, საწარმოო-გაერთიანება საქმაღალდმრეწველის პროფკომიტეტის თავმჯდომარე; ზუგდიდი, დოროვსკის 43; სახალხო ფრონტი.

51. **დუნდუა რუხუდან გიორგის ასული**, 1945, ტექნოლოგი, ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი; თბილისი, კეკელიძის 16; უპარტიო.

52. **ჩხიკვიშვილი ცოტნე შალვას ძე**, 1927, ექიმი, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგე; თბილისი, ნუცუბიძის 8, ბ. 111; უპარტიო.

53. **გუნია რამინ მიხეილის ძე**, 1947, ექიმი, სენაკის კანისა და ვენერიულ დაავადებათა დისპანსერის ორდინატორი; სენაკი, ცხაკაიას 43; სახალხო ფრონტი.

54. **დიასამიძე ნარგიზ უსუპის ასული**, 1956, იურისტი, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი ინსპექტორი; ბათუმი, მოსკოვის 68; სახალხო ფრონტი.

55. **გოგოხია რევაზ აკაკის ძე**, 1936, ეკონომისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისი, გოთუას 16, ბ. 21, უპარტიო.

56. **დოლიძე ამირან მათეს ძე** 1945, კინოდრამატურგი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ უფროსი რედაქტორი; თბილისი, დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს 21; სახალხო ფრონტი.

57. **თოდუა გრიგოლ სიმონის ძე**, 1928, ეკონომისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. კვ. 4, კორპ 9, ბ. 12; უპარტიო.

58. **გოგიჩაიშვილი ვახტანგ კარლოს ძე**, 1953, ფიზიკოსი, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მეონის“ მეცნიერ-თანამშრომელი; თბილისი, დემეტრე თავდადებულის 8, ბინა 10; სახალხო ფრონტი.

59. **ხუციშვილი გურამ ელიოზის ძე**, 1934, ექიმი, თბილისის სისხლის გადასხმისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე; თბილისი, ბახტრიონის 2, ბ. 36; უპარტიო.

60. **გოგია სულიკო სერგოს ძე**, 1946, ფილოლოგი, საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგე; რუსთავი, მე-17 მ/რ, კორპ. 2, ბინა 36; სახალხო ფრონტი.

61. **გვახარია ვახტანგ გიორგის ძე**, 1940, ქიმიკოსი, გეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე; თბილისი, ტაბიძის 39, ბინა 17, უპარტიო.

62. **ჩიხრაძე ფიქრია ვალერიანის ასული**, 1964, ფილოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორანტი; თბილისი ღრმაღელის 1-ლი შესახვევი 10ა; უპარტიო.

63. **ტალახაძე გიორგი აკაკის ძე**, 1957, ფილოსოფოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი; თბილისი, გოგასლის 111ა, კორპ. 3, ბინა 34; სახალხო ფრონტი.

64. **ჭორიძე თეიმურაზ კონსტანტინეს ძე**, 1950, ისტორიკოსი, გაზეთ „7 დღის“ რედაქციის კორესპონდენტი; თბილისი, ოქტომბრის 43, უპარტიო.

65. **გველესიანი მერაბ ოსიფის ძე**, 1944, ეკონომისტი, ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე; თბილისი, ბარნოვის 23; უპარტიო.

66. **ლაშხი ალექსანდრე არსენის ძე**, 1945, მათემატიკოსი, სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი; თბილისი, შატბერაშვილის 4, ბინა 30; უპარტიო.

